

**ველური ბინების სახეობასთან შეჯახებით გამოწვეული საავიაციო მოვლენის ფორმის -106  
თითოეული ველის განმარტება**

<i>გთხოვთ შეავსოთ ყველა უჯრა. თუ არ გამოიყენება, მიუთითეთ -“NA”, ან თუ ცნობილი არაა, მიუთითეთ- “NK”. მოერიდეთ ტექნიკური ჟარგონის, იეროგლიფებისა და შემოკლებების გამოყენებას</i>	
<b>სათაური</b>	მოკლე ინფორმაცია, რომელიც მკითხველსთვის აიდენტიფიცირებს მოვლენას, მაგ: ფრინველის შეჯახება
<b>საავიაციო მოვლენის წარმდგენი საწარმო/სამსახური</b>	შესაბამის ველში მიუთითეთ მოვლენის წარმდგენი საწარმო/სამსახური. სამსახურის შემთხვევაში გთხოვთ ნათლად დაწეროთ ამ ერთეულის სახელი.
<b>თარიღი (ადგილობრივი)</b>	მიეთითოს საავიაციო მოვლენის ადგილობრივი თარიღი (დღე/თვე/წელი)) მაგ: 12/12/12
<b>დრო (ადგილობრივი)</b>	მიეთითოს საავიაციო მოვლენის ადგილობრივი დრო, 24 საათიანი მეთოდის გამოყენებით. მაგ: 23:59
<b>აეროდრომის დასახელება</b>	აეროდრომის დასახელება. ოთხ ასოიანი კოდი, რომელიც ჩამოყალიბებულია ICAO-ს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და მინიჭებულია აერონავტიკული ფიქსირებული სადგურის ადგილმდებარეობაზე. მაგ: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - UGKO <i>შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ფრინველთან შეჯახება მოხდა მარშუტზე, ეს ბლანკი გამოტოვეთ</i>
<b>გამოყენებული ადზ ფრენის ეტაპი</b>	ადზ-ს იდენტიფიკატორი, მაგ: (31L, 13R)
<b>სხ-ს ნაწილი</b>	საავიაციო მოვლენის დადგომისას საჰაერო ხომალდის ფრენის ეტაპი.
<b>ოპერატორი</b>	პირი, ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ეწევა ან სთავაზობს მონაწილეობას საჰაერო ხომალდის ოპერირებაში, მაგ. (Lufthansa, Cargo lux)
<b>ოპერირების სახეობა</b>	ოპერირების სახეობა, რომელიც მიუთითებს, რომ ეს იყო საზოგადოებრივი გადაყვანის ოპერირება (ავიაკომპანიის ოპერაცია) ან საერთო დანიშნულების ავიაციის ფრენა.
<b>სხ-ს რეგისტრაცია</b>	ნიშანი, რომელიც გამოიყენება სხ-ს იდენტიფიკაციისთვის. ნიშანი შედგება საერთო ნიშნისგან ან ეროვნების ნიშნისგან, რასაც მოჰყვება სარეგისტრაციო ნიშანი მაგ. (4L-XXX,)
<b>სხ-ს ძრავის მოდელი</b>	ძრავის მწარმოებელი/ სხ-ს ძრავის მოდელი, მაგ. (BMW, BOMBARDER)
<b>სხ-ს მოდელი</b>	ICAO-ს სხ-ს ტიპის აღმნიშვნელი - ოთხი სიმბოლოს კოდი მინიჭებული საჰაერო ხომალდისათვის - განისაზღვრება, როგორც მეტსახელი. [ICAO Doc 8643] (მაგალითი B735)
<b>მდებარეობა, თუ იმყოფებოდა მარშუტზე</b>	მიუთითეთ მარშუტის მდებარეობა, სადაც მოხდა საავიაციო მოვლენა
<b>სიმაღლე AGL</b>	საჰაერო ხომალდის ფრენის ეტაპის დროს სიმაღლე (ფუტი) საავიაციო მოვლენის დადგომისას.
<b>სიჩქარე(IAS)</b>	საჰაერო ხომალდის სიჩქარე (კვანძი) საავიაციო მოვლენის დადგომისას.
<b>ზეგავლენა ფრენისთვის</b>	მოვლენა, რომელიც განვითარდა ველური ბუნების სახეობასთან შეჯახების შემდეგ.
<b>ცის მდგომარეობა</b>	ცის მდგომარეობა საავიაციის ამინდის დაკვირვებისა და ნალექებისთვის მაგ. (მოდრულული, ნისლი, წვიმა).
<b>ნალექი</b>	ნალექის სახეობა ICAO Annex 3-ის შესაბამისად.
<b>ველური ბუნების სახეობა</b>	ფრინველები და ცხოველები (ძუძუმწოვრები, მღრღნელები, ქვეწარმავლები და სხვა), რომლებიც პოტენციურად საფრთხეს უქმნიან საჰაერო ხომალდის ფრენის უსაფრთხოებას, მაგ: მერცხალი, მტრედი, კურდღელი, კუ.
<b>ველური ბუნების სახეობის რაოდენობა</b>	შემჩნეული ან შეჯახებული ველური ბუნების სახეობის რაოდენობა.
<b>ველური ბუნების სახეობის ზომა იყო თუ არა გაფრთხილებული პილოტი</b>	ველური ბუნების სახეობის სავარაუდო ზომა იყო თუ არა პილოტი გაფრთხილებული ფრინველების არსებობასთან დაკავშირებით.
<b>მოვლენის აღწერა</b>	მოკლე თხრობა, რომელიც აღწერს მოვლენას. გამოიყენეთ მხოლოდ სტანდარტული აბრევიატურები. სადაც შესაძლებელია, ნუ გაიმეორებთ კოდირებულ მონაცემებში შეყვანილ ინფორმაციას. ასახეთ ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მკითხველისთვის შემთხვევის სცენარის გადასაცემად. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეთ ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება იყოს კოდირებულ მონაცემებში

**შენიშვნა:**

**ველური ბუნების სახეობის შეჯახება:**

- ველური ბუნების საჭაერო ხომალდზე ნებისმიერი დაფიქსირებული შეჯახების ფაქტი, სადაც სახეზეა საჭაერო ხომალდის დაზიანება, ან ველური ბუნების სისხლი ან სხვა ნარჩენები;
- ველური ბუნების საჭაერო ხომალდზე ნებისმიერი დაფიქსირებული შეჯახების ფაქტი, სადაც არ არსებობს მატერიალური მტკიცებულება, თუმცა შეჯახება დაფიქსირებული იქნა ვიზუალურად ან შეჯახების აკუსტიკური აღქმით;
- აეროდრომის ტერიტორიაზე ნაპოვნი ველური ბუნების რომელიმე მკვდარი სახეობა, რომელსაც აღენიშნება ისეთი დაზიანებები, როდესაც საჭაერო ხომალდთან შეჯახების გარდა, სიკვდილის სხვა მიზეზი არ არსებობს;